

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი**

2009-2010 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური

ა ნ გ ა რ ი შ ი

**თბილისი
2010 წელი**

1. 2009-2010წელს დამთავრებული გეგმიური და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში

1.1 2009-2010 წელს დამთავრებულია 13 გეგმიური სამეცნიერო კვლევითი პროექტი და ერთი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაო. აღნიოშნულ ანგარიშში მოლცემულია პროექტების მოკლე ანოტაცია.

1. “ბორის კარბიდის ფუძეზე მეტალოკერამიკული კომპოზიციური მასალების მიღება”. თემის ხელმძღვანელი ო. ცაგარევიშვილი.

ბორის კარბიდისათვის შერჩეულია ლითონური შემაკავშირებელი სპილენძი-მანგანუმის შენადნობების სახით. ლითონური შემაკავშირებლისა და მატრიცის გამყოფ ზედაპირზე მიმდინარე პროცესების წინასწარმა შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნული შენადნობები, 1100°C -მდე პრაქტიკულად არ რეაგირებენ ბორის კარბიდთან და კარგად ასველებენ მას ($\theta=0^{\circ}$). დადგენილია შემაკავშირებელი ლითონური შენადნობის ოპტიმალური შედგენილობა. ჩატარებულია აღნიშნულ მასალებზე მიკროსტრუქტურული კვლევები. პლაზმურ-ნაპერწკლური დაწნევების მეთოდით მიღებულია ცილინდრის ფორმის კომპაქტირებული ნიმუშები. შესწავლილია მათი მორფოლოგია და ფაზური შედგენილობა.

2. “თხელი ფურცლების უწყვეტად ჩამოსხმა-გლინვის შერწყმული მეთოდი” თემის ხელმძღვანელი გ. ქეგებიშვილი.

განისაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პარამეტრები: ჩამოსხმის სიჩქარე; თხიერი ლითონის მენისკის სიმაღლე; კრისტალიზაციის ფრონტების გადაკვეთის წერტილი და პირველადი მოჭიმვის სიდიდე.

მიღებული მონაცემების გათვალისწინებით ჩატარდა საჩამოსხმო-საგლინავი დანადგარის ძალოვანი და კონსტრუქციული პარამეტრების ანგარიში. მიღებულია პროცესის ამსახველი ემპირიული ფორმულა, რომელშიც სრულად არის წარმოდგენილი პროცესის ყველა ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით დამუშავებულია საჩამოსხმო-საგლინავი დანადგარის კონსტრუქციის პროექტი, რომლის მიხედვით დამზადებულია საცდელი დანადგარი.

3. “ზემაღალი წნევების გამოყენება ნანოსტრუქტურული, ულტრადისპერსიული და პლაკირებული ფხვნილებისაგან Co-Al, Ni-Al და Co-Cu მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების სინთეზირებისათვის, მათ შორის გიგანტური მაგნიტოწინაღობის მქონე მასალების შესაქმნელად”. თემის ხელმძღვანელი ო. ჩხარტიშვილი

დამუშავებულია Co-Cu და Ni-Al ფხვნილოვანი მექანიკური ნარევის სტატიკური და დინამიკური ზემაღალი წნევებით კომპაქტირების ოპტიმალური ტექნოლოგია. შედეგად მიღებულია მაღალი სიმკვრივის, მიკროსისალის, მაგნიტოამოვისებლობის და დაბალი ელექტროწინაღობის მქონე კომპოზიციური ნიმუშები. მიღებული ნიმუშების რენტგენფაზური, დილატომეტრული და ფიზიკო-მექანიკური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დარტყმით რეჟიმში კომპაქტირებით მიღებული და დარტყმით მასალაში 280K ტემპერატურაზე ადგილი აქვს მაგნიტოამოვისებლობის ანომალურ ცვლილებებს. კომპაქტირების ორივე მეთოდის შემთხვევაში კომპოზიციურ მასალაში არ დაფიქსირდა რაიმე სახის ნაერთის წარმოქმნა. დადგინდა, რომ კომპოზიციაში კობალტის შემცველობის გაზრდით იზრდება მასალის მიკროსისალე.

მიღებული კომპოზოციური მასალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მიკროელექტრონიკასა და მეხსიერების მქონე ელემენტებში.

4. „საქართველოს მეტალურგიულ საწარმოთა მყარი ინდუსტრიული ნარჩენების უტილიზაციის ტექნოლოგიური სქემის პლავა და დამუშავება“. თემის ხელმძღვანელი ჯ. მოსია

ჩატარებულია მეტალურგიულ საწარმოთა მყარი სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის მონაცემების სისტემატიზაცია და პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი.

შესწავლილია დაგროვილი მეტალურგიული ნარჩენების (ნაყარი წილების) ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობები, $MnO-CaO-MgO-Al_2O_3-SiO_2$ სისტემის ოქსიდური ნადნობების სიბლანტის, ზედაპირული დაჭიმულობისა და ელექტრული გამტარებლობის დამოკიდებულება ტემპერატურასა და შემადგენილობაზე.

კომპიუტერული თერმოდინამიკის გამოყენებით დადგენილია პროცესის წონასწორული პირობები, კონდენსირებული ფაზების შედგენილობები, სისტემაში ლითონური და მინერალური მდგრელების განაწილება და წონასწორული პროცესის მართვის საჭირო ენერგოდანახარჯის სიდიდე.

მეტალურგიულ ნარჩენებში არსებული ლითონის მაქსიმალური ამოღების, მისი კოაგულაციისა და დნობის პროდუქტების სრული გაყოფის უზრუნველსაყოფად მეტალურგიული ციკლის ყველა ეტაპზე ჩატარებულია დამუშავების ტემპერატურის, აღმდეგნელის სახისა და კონცენტრაციის გავლენის ხასიათის ექსპერიმენტაციური გამოკვლევა და მათი ცვლილების ანალიზი.

შესწავლილია წვრილდისპერსული ნარჩენებიდან მრავალკომპონენტიანი ბრიკეტების მიღების პროცესი, კონკრეტული მასალებისა და შემკვრელების გამოყენებით, მათი დამოკიდებულება ელექტრომეტალურგიული გადამუშავების პარამეტრებთან მიახლოებულ პირობებში.

ჩატარებულია საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის ნარჩენების უტილიზაციის პროცესების მოდელირების შედეგების ანალიზი და დადგენილია მისი რეალიზაციის ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემები.

5. „საქართველოს მსხვილ საწარმოო ობიექტებზე, ზღვის და გეოთერმალურ წყლებში და ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში მომუშავე ლითონებისტრუქტურების კოროზიული მდგრმარეობის შესწავლა და დაცვის სათანადო რეკომენდაციების დამუშავება“. თემის ხელმძღვანელი დ. რამაზაშვილი.

2010 წლის სამუშაო შედგებოდა ორი ეტაპისგან. პირველი ეტაპის გეგმით მოძიებულია საქართველოს ძირითადი მტკნარი წყლების – მდინარეების და ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების წყლების ქიმიური შედგენილობა და საერთო მინერალიზაცია, რის საფუძველზეც გამოთვლილია მათი კოროზიული აგრესიულობის ხარისხი (ლანჯელიქს ნაჯერობის ინდექსი).

გამოკვლეულია თბილისის ფარგლებში მდინარე მტკვარზე ხიდების და სხვა ნაგებობების ბურჯების და ვატერლინიის ზევით როგორც შიშველი ლითონის, ასევე ბეტონის და ბეტონში განთავსებული არმატურის კოროზიული მდგრმარეობა; დამუშავებულია ფოლადის კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვის მეთოდები; შემოთავაზებულია პროტექტორული მასალების ფორმები და არმატურაზე დამაგრების მეთოდები; კათოდური დაცვის პარამეტრების გამოთვლის მეთოდიკა დამუშავებულია ინსტიტუტში შემუშავებული მაღალმტკიცე 20ХГ2Р მარკის ფოლადის მაგალითზე.

თემის მეორე ეტაპი ეხებოდა მეტროპოლიტენის “ვაგზალი-3”-ის მიწისქვეშა სადგურში ესკალატორების სადგარების კოროზიული მდგომარეობის და მისი გამომწვევი მიზეზების კვლევას. ვიზუალური, ქიმიური, ელექტროქიმიური, გრავიმეტრული, სპექტრული და დიფრაქტომეტრული ანალიზების საფუძველზე დადგენილია მეტროს ესკალატორების სადგარების ფოლადის მარკა, უანგეულების შედგენილობა და მათი დაცვითი უნარიანობა, გრუნტის წყლების ტიპი და მათი კოროზიული აგრესიულობა; დამუშავებულია სადგარების კოროზიისგან დაცვის პრაქტიკულად აღვილად განსახორციელებელი და ეკონომიკურად გამართლებული მეთოდები, კერძოდ ინჰიბიტორული ორგანული საცხებისა და პროტექტორების გამოყენება.

6. „ნანოგანზომილების ნაწილაკებით დისპერსულად განმტკიცებული ახალი საჯავშნე ფოლადის მიღება და ტექნოლოგიური სქემის დამუშავება“. თემის ხელმძღვანელი ო. ოქროსცვარიძე.

დამუშავდა ახალი მაღალმტკიცე ფოლადები, რომელთა მექანიკურმა თვისებებმა კარგი შედეგები გამოამჟღავნა საექსპლოატაციო გამოცდების დროს.

გამოდნობილ იქნა 19 სხვადასხვა შედგენილობის ფოლადი, რომელთაგან, მექანიკური თვისებების გათვალისწინებით შეირჩა ორი ფოლადი სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობით (№1 და №2). ამ ფოლადებმა გამოცდების დროს გამოამჟღავნეს კარგი საექსპლოატაციო მედეგობა და სიცოცხლისუნარიანობა.

მაღალი სიხშირის ინდუქციური ღუმელის ბაზაზე სპეციალური წილების გამოყენებით დამუშავებულია ფოლადების გამოდნობის ტექნოლოგია. გამდნარი ლითონის ჩამოსხმა წარმოებდა ბოჟვებში. სხმულების შემდგომი გადამუშავება რაფინირების მიზნით ჩატარდა ელექტროწილური გადადნობის ღუმელში.

ზოდების გლინვა შესრულდა ინსტიტუტის დგან “220”-ზე. მიღებული ფურცლების სისქე 4-5მმ-ს შეადგენდა.

ჩატარდა მიღებული ფურცლების თერმული დამუშავება რომლის სისალე უნდა ყოფილიყო არა ნაკლები 53HRC. ოპტიმალური ზღვარის დასადგენად შესწავლილი იქნა მიღებული ნიმუშების მექანიკური და სპეციალური თვისებები წრთობისა და მოშვების სხვადასხვა ტემპერატურებზე (200° , 300° , 500° და 600° C)

მიღებული ნიმუშები გამოიცადა სტანდარტით ГОСТ Р50744-95-ის მიხედვით. დადგენილია ნიმუშების ანგიბალისტიკური მახასიათებლები.

7. «თერმომექანიკური დამუშავების გავლენა მეტასტაბილური აუსტენიტური ფოლადის თვისებებზე ». თემის ხელმძღვანელი 6. ღუარსაბიშვილი.

შესწავლილია სამი განსხვავებული შედგენილობის მქონე მეტასტაბილურ აუსტენიტური ქრომ-მანგანუმიან ფოლადზე ცივი, თბილი პლასტიკური დეფორმაციის და თერმომექანიკური დამუშავების გავლენა სტრუქტურაზე, კოროზიულ და მექანიკურ თვისებებზე.

დადგენილია, რომ საკვლევ ფოლადებზე 10%-დან ზევით ცივი პლასტიკური დეფორმაცია იწვევს სტრუქტურაში მარტენიტის წარმოქმნას, რასაც ადასტურებს ნიმუშებში ფერომაგნიტურობის წარმოქმნა და რენტგენოდიფრაქციული ანალიზი.

ცივი პლასტიკური დეფორმაციის შედეგად სისალე იზრდება 12-15 HRC ერთეულით როკველის შეალით, ხოლო სიმტკიცის ზღვარი 300-400 მპა-ით, ფარდობითი წაგრძელების 6%-მდე შემცირების ფონზე.

ფოლადები კოროზიულად აქტიურია ნეიტრალურ და მჟავა არეებში, თუმცა ტუტე არეში მის ზედაპირზე წარმოიქმნება Fe_2O_3 -ის დამცვი ფურჩი. იგი რკინაზე

წარმოქმნილი ფურჩისაგან განსხვავებით არ არის კომპაქტური და არ უზრუნველყოფს სრულ დაცვას.

კოროზიის კვლევამ ტუტე და ნეიტრალურ არეებში აჩვენა, რომ ისინი მიღრეკილი არიან ფიტინგური და წყლელოვანი კოროზიისადმი, რაც ხანგრძლივი მუშაობის პროცესში დაკავშირებულია პერფორაციის საშიშროებასთან. მანგანუმის მაღალი შემცველობა განაპირობებს ამ ფოლადის მაღალ კოროზიულ აქტიურობას ატმოსფერულ პირობებშიც, ამიტომ მათი მუშაობა დია სივრცეში შესაძლებელია მხოლოდ ინპიტორული საცხების გამოყენებით.

თბილი პლასტიკური დეფორმაცია 300-600 გრადუსიან ინტერვალში 300-350 მპა-ით ზრდის სიმტკიცის ზღვარს, ამასთანავე პლასტიკურობა შენარჩუნებულია ((δ =16%)-ის დონეზე.

სიმტკიცის მაჩვენებლები (1200 მპა), δ=16%-დონის პლასტიკურობასთან ერთად, მიიღება განმეორებადი თერმომექანიკური დამუშავებით, რაც ადასტურებს ასეთი დამუშავების ჩატარების მიზანშეწონილობას და შეიძლება რეკომენდირებულ იქნას მაღალი ცვეთის პირობებში მომუშავე დეტალების საექსპლოატაციო თვისებების გაუმჯობესების მიზნით.

8. « ჯავარიანი (დამასკური, ბულატის) ფოლადის სტრუქტურის კვლევა და მისი მიღების ტექნოლოგიის აღდგენა». თემის ხელმძღვანელი ბ. ამაღლობელი.

ნამდვილი ბულატის მიღების ძველი ტექნოლოგიური პროცესის აღსადგენად ისტორიულ ეთნოგრაფიულ მასალების მიხედვით აგებულ იქნა ჭაშური ტიპის ღუმელი «ბრძმედულა», რომელშიც ჩატარდა ტიგელური დნობები.

შესწავლილი იქნა ტიგელური ფოლადის ტექნოლოგიური თავისებურებანი; დადგენილი იქნა ძირითადი მალეგირებელი ელემენტის -ნახშირბადის ოპტიმალური რაოდენობა (1,2--1,7%). შემუშავებულია დაბალტემპერატურული ჭედვის რეჟიმი, რომელიც განაპირობებს, მარცვლოვანი პერლიტის მიღებას, ზრდის ნამზადის პლასტიკურობას და იძლევა უდიდეს ნაკეთობის დამზადების საშუალებას.

9. « ახალი ცვეთამედეგი მასალების სინთეზი ცენტრიდანული ძალების გელში ». თემის ხელმძღვანელი გ. ონიაშვილი.

შემუშავებულია ცენტრიდანული ძალების გელში სხმული სალი და ცვეთამედეგი მასალების მიღების ტექნოლოგია Ti-Cr-Ni-C, Ti-Ni-C და Ti-Cr-B-Cu-C სისტემებში. დადგენილია ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები და საწყისი ნარევების შემადგენლობები სხმული სალი შენადნობების მისაღებად. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია ნაკეთობების მისაღები ტექნოლოგიური აღჭურვილობა. შემუშავებული სხმული სალი შენადნობებისაგან დამზადებულია მჭრელი ბუნიკები საგზაო-საფრეზი მანქანებისათვის. ჩატარებულმა გამოცდებმა აჩვენა, რომ მათი საექსპლოატაციო თვისებები არ ჩამოუვარდება სამრეწველო ანალოგებს და მათთან შედარებით იაფია 25-30%-ით.

10. » ვოლფრამშემცველი ჭურვების უტილიზაციით ფხვნილოვანი ვოლფრამისა და სალი შენადნობების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ». თემის ხელმძღვანელი ტ.მ.აკად.დოქტორი ზ.მირიჯანაშვილი.

კვლევის ობიექტებად გამოყენებულ იქნა ლითონთა ქლორიდები: ვოლფრამის პექსაქლორიდი, კობალტის დიქლორიდი, ნიკელისა და რკინის ქლორიდები მიღებული ვოლფრამშემცველი ჯართის ქლორირებით, რომელთაგან მზადდებოდა ინჟექციისათვის განკუთვნილი თხევადი კაზმი - ვოლფრამის ქლორიდის (WCl_6) ეთილის სპირტსნარი, შემაკავშირებელი ლითონთა ქლორიდების $CoCl_2$ ან $NiFeCl_4$ წყალსნარი და უროტროპინის ($C_6H_{12}N_4$) სპირტსნარი.

მოლეკულურ დონეზე პომოგენური კომპოზიციური ულტრადისპერსული ვალფრამის კარბიდის ფუძეზე სალი შენადნობების ფხვნილის მიღება წარმოებს თხევადი კაზმის წყალბადთერმიული აღდგენით და სელექციური კარბიდიზაციის პროცესების ერთდროული წარმართვის პირობებში. დამუშავებული ტექნოლოგია რეალიზდება მარტივი აპარატურული გაფორმებით და დაბალენერგოტენცია.

რენტგენოდიფრაქციული მეთოდით დადგინდა, რომ ფხვნილოვანი სალი შენადნობები, WC+10%Co ან WC+7%Ni-3%Fe მიიღება სინთეზირების პარამეტრების $T=950^{\circ}\text{C}$ და $\tau=2\text{სთ}$ პირობებში. დიფრაქტოგრამების ინტერფერენციული მაქსიმუმების გაგანიერების საფუძველზე შეფასებული იქნა სინთეზირებული ფხვნილის მარცვლების ზომები, რომლებიც არ აღემატება 100ნმ, მარცვლები სფერულია, ხოლო ფხვნილის ნაყარი წონა შეადგენს 0,7-0,8 გრ/სმ².

11. „ზოფხიტოს ანთიმონიანი მადნებიდან ანთიმონის სულფიდის და ლითონური Sb-ის მიღების პროცესის გამოკვლევა“. თემის ხელმძღვანელი ჭ. ბალდავაძე.

გათვლილია ზოგიერთი ნარეთის (FeSb , FeSb_2 და AlSb) თერმოდინამიკური ფუნქციების უცნობი მნიშვნელობები მიახლოებითი საანგარიშო მეთოდით და შედეგები შეტანილია მონაცემთა ბანკში.

პროგრამა ASTRA-4-ის საშუალებით ეგმ-ზე შესრულებულია Sb-S , $\text{Sb}_2\text{O}_3 + \text{O}_2$, $\text{Sb}_2\text{S}_3 + \text{Sb}_2\text{O}_3$ სისტემების ერთ ატმოსფერულ წნევაზე, Sb , As , Sb_2S_3 და As_2S_3 -ის გაკუუმში (10^{-5} მლპა წნევაზე) გახურების პროცესის და $\text{Sb}_2\text{S}_3 + \text{Fe}$, $\text{Sb}_2\text{S}_3 + \text{Al}$ რეაქციების სრული თერმოდინამიკური ანალიზი. მიღებული შედეგები წარმოდგენილია დიაგრამების სახით.

შესწავლილია ზოფხიტოს მადნის სხვადასხვა ფრაქციებიდან ვაკუუმში (10^{-5} მლპა) აქროლვის გზით ანთიმონის სულფიდის მიღების პროცესის კინეტიკური კანონზომიერებები; დადგენილია სულფიდების მიღების ოპტიმალური პირობები: ფრაქცია (-1+0,5)მმ, ტემპერატურა $650-700^{\circ}$, ხანგრძლივობა 40 წუთი, გამოსავალი 90 მას.%.

დადგენილია ორ ეტაპად ანთიმონის მიღების ოპტიმალური პირობები: ტემპერატურა I ეტაპზე 750° არგონის ატმოსფეროში (10^{-1} მლპა); II ეტაპზე 850° გაკუუმი (10^{-5} მლპა), ხანგრძლივობა 2 საათი.

მიღებულია ტექნიკური სისუფთავის ($\text{As} \sim 1-3$ მას.%, $\text{S} \sim 0,6$ მას.%) და მაღალი სისუფთავის ლითონური ანთიმონი (Sb-99,1-99,2 მას.%, $\text{As} \sim 0,5-0,65$ მას.%, $\text{S} \sim 0,11-0,14$ მას.%).

12. „საქართველოს კვარციტებიდან ტექნიკური სილიციუმისა და სილიციდების მიღების ტექნოლოგიური პროცესების გამოკვლევა“. თემის ხელმძღვანელი ი.ფულარიანი.

განსაზღვრულია ფაქტორთა ის ოპტიმალური მნიშვნელობანი, რომლებიც განაპირობებენ სამიზნე პროდუქტის მაქსიმალური რაოდენობით წარმოქმნას. ეს მნიშვნელობებია: $T_{\text{ხა}}=750^{\circ}\text{C}$, $d_{\text{საჭ}}=0,2\text{მმ}$, $\text{Mg/SiO}_2=0,62$, $\tau_{\text{დაჭ}}=0,5\text{სთ}$.პროდუქტებში სილიციუმის ან მაგნიუმის სილიციდის შემცველობა განპირობებულია დამატებული მაგნიუმის სტექიომეტრით; დამატებული მაგნიუმის რაოდენობის მიხედვით სისტემაში შესაძლებელია წარმოქმნას როგორც სილიციუმი, ისე სილიციდი.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემოთავაზებულია კვარციტის მაგნიუმთერმული აღდგენის გზით ტექნიკური სილიციუმის ან მაგნიუმის სილიციდის მიღების ტექნოლოგიური სქემა.

13. „მიკრობიოლოგიური მეთოდით მანგანუმის მადნების გაუფოსფორების პროცესის კვლევა“. თემის ხელმძღვანელი ლ. სახვაძე.

მიკრობიოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით შემუშავდა მადნების ხარისხის გაუმჯობესების ტექნოლოგია. კერძოდ, განხორციელდა მანგანუმის მადნებიდან ფოსფორისა და კაჟმიწის მოცილება სილიკატური აგტოტოფული ბაქტერიების მეშვეობით. მადანში ფოსფორის რაოდენობა შემცირდა 35%-ით, ხოლო სილიციუმისა – 40 %-ით. შედეგად, მადანი, რომელიც მეტალურგიული წარმოებისათვის უვარგისი იყო, გახდა ვარგისი. მისი ხარისხი გაუმჯობესდა და მიუახლოვდა პირველი კატეგორიის კონცენტრატს ($P:Mn=0.004$).

1.2 2010წელს დამთავრებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების მოპლე ანგარიშები.

საანგარიშო პერიოდში (2010წ) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოები არ დამთავრებულა.

2. 2010 წელს მოპოვებული ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული პროექტების მოკლე ანგარიში.

1.. პროექტი GNSF №1-7/87: “სალი შენადნობების წარმოების ნარჩენებიდან გოლფრამშემცველი ნანო-ფენილების მიღების ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება” (2010-2011)წწ. პროექტის მენეჯერი, ზ.მირიჯანაშვილი

განისაზღვრა W-Ni-Fe-Co-CI და $WCl_6-NiCl_2-FeCl_2-CoCl_2-H-C$ სისტემებში მიმდინარე გარდაქმნების იზობარულ-იზოთერმული პოტენციალების მნიშვნელობები; აირადი და მყარი ფაზების კონცენტრაციები 298-2500K ტემპერატურულ ზღვრებში. შეიქმნა ახალი კონსტრუქციის ქლორატორი, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის ქლორირების სრულ პერმეტულობას. დამზადდა მარილთა თხევადი ხსნარების გასაფრანგები ინჟექტორი და აღსაღვენი კაზმის რეაქტორი, რითაც გაუმჯობესდა კარბიდიზაციისა და სელექციური აღდგენის პროცესების პირობები. დადგინდა ნედლეულის ქლორირების პროცესის ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები და მიღებულ იქნა ვოლფრამის ჰექსაქლორიდის საცდელი ნიმუშები.

2. პროექტი STCU - „ნანოსტრუქტურული 3D-ნაკეთობის და დანაფარების დამუშავება და სინთეზი ინტეგრირებული ნანოტექნოლოგიური სქემის გამოყენებით“. (2010-2012)წწ. პროექტის მენეჯერი, ო.ოქროსცვარიძე.

შესწავლილი იქნა თმს-ის ტექნოლოგიის თანამდროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენცია, რომელიც განხილული იქნა ენერგო- და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. დამზადებული იქნა თმს-გენერატორი და მზის კონცენტრატორების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კაზმის გაცხელებას $500-600^{\circ}\text{C}$ -მდე.

მიღებული იქნა TiB, TiC, WC, B_4C და ა.შ. თმს-ფენილები, რომელთა ქიმიური დამუშავებით მიღებული იქნა ნანო და ულტრადისპერსული ფენილები. შესწავლილი იქნა მათი სტრუქტურული თავისებურებები და ჩატარდა რენტგენოფაზური ანალიზი. შესწავლილი იქნა ფენილების ზოგიერთი ტექნოლოგიური მახასიათებელი. ჩატარდა პირველადი მარკეტინგული გამოკვლევები.

3. 2009-2010 წელს საქართველოში და საზღვარგარეთ ჩატარებული კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სხვა ლონისძიებებში მონაწილეობა.

1. ბორის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ოქტომბერი, 2009, ქსკიშაპირი, თურქეთი;
2. საერთაშორისო კონფერენცია HigMatTech, 19-23 ოქტომბერი 2009, კიევი, უკრაინა;
3. XIV International Clay Conference, 14-20 ივნისი, კასტელანეტა მარინა, იტალია;
4. მასალათმცოდნების საერთაშორისო თაობირი Materials Science Days, 8-10 ივლისი, თბილისი, საქართველო
5. XII-ებ მერანდისტური სიმპოზიუმი, სექტემბერი, 2009, ქ. როსტოვ-ნა-დონი, მოსკოვის მხარე, რუსეთი.
6. თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, 6-11 ივლისი 2009, წახაძორი, სომხეთი
7. სემინარი თემაზე: “უკრაინის სამცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის დახმარებით შესრულებული პროექტების კომერციალიზაციის გზები”, 12-16 ოქტომბერი 2009 წელი, სტოკოლმი, შვედეთი.
8. ფევნილთა მეტალურგიისა და მასალათმცოდნების საერთაშორისო კონგრესი, 11-14 ოქტომბერი 2009, კოპენჰაგენი, დანია
9. „Миниустановка для СВС“. Доклад на Международном конгрессе в Армении, 2009 г., 6-18 июня.
10. „Миниустановка для СВС“. Доклад на Международном конгрессе в Армении, 2009 г., 6-18 июня.
11. Mikeladze A.G., Gachechiladze A.A., Tsagareishvili O.A., Gabunia D.L., Chedia R.V., Antadze M.E.PREPARATION AND COMPACTION OF COMPOSITE NANOPOWDERS OF METAL CARBIDES. Шестая Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Ялта, Крым АР. Украина, 2010.
12. Chkhartishvili L.S., Tsagareishvili O.A., Gachechiladze, A.A., Gabunia D.L., Tavadze G.F., Mirijanashvili Z.Sh. ON POSSIBILITY OF APPLICATION OF BORON-CONTAINING COATINGS AS NEUTRON SHIELD. VI Межд. конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Ялта, Крым АР. Украина, 2010.
13. Darchishvili M .D., Darsavelidze G.Sh., Gabunia D.L., Tsagareishvili O..A. ELECTROPHYSICAL AND ELASTIC PROPERTIES OF β – RHOMBOHEDRAL BORON, DOPED WITH Zr AND Co. Шестая Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Ялта, Крым АР. Украина, 2010.
14. L.Chartishvili. Thermoelectrics for high-performance generators (Doped beta-rhombohedral boron). The Brokerage Event on Energy (FP7) - უკრაინა, კიევი, ოქტომბერი
15. Ф. Х. Акопов, А .А . Гачечиладзе . О возможности формирования влижного атомного порядка в процессе овлечения сплавов NiCu . 13 –th internacional meeting. Order, Disorder end Properties of Oqsides. Rostov- on-Don-loo, Russia,16-21 seftember,
16. D.Macharadze, D.Nozadze, M.Okrosashvili, T.Namicheishvili, Ya.Tavartkiladze' S.Bohm-COMBINED METHOD OF ELECTRIC CONTACT HEATING AND DIFFUSION CONNECTION OF STEEL_ALUMINUM. 1-st International Conference for Students and Young Scientist on Materials Processing Scence.October 10-13, 2010 Tbilisi,Georgia. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
17. I.Chkhartishvili, J. Sharashenidze, F.Akopov, N.Kvataya. Application of Shock-Wave Loading and Subsequent Neutron Irradiation for Artificial Diamond Synthesis. Material

Science Days, Collection of reports, 2010. ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010.

18. И.В.Чхартишвили, Ф.Х.Акопов, Н.Д.Кватая, Дж.Гамсахурдия , Дж. Шарашенидзе ПРЕВРАЩЕНИЕ СТРУКТУРЫ МЕДНОЙ ПЛАСТИНЫ В РЕЗУЛЬТАТЕ ВЫСОКОСКОРОСТНОГО СОУДАРЕНИЯ С ТИТАНОВОЙ МИШЕНЬЮ. XII Международный, Междисциплинарный симпозиум «Порядок, беспорядок и свойства оксидов» (ОДРО-12), Ростов-на Дону, п.Лоо,2010г.
19. Д.Б.Лория, Н.И.Кацарава, Г.Ш.Кевхишвили. "ВЛИЯНИЕ НИТРИДНОГО МОДИФИРОВАНИЯ НА КАЧЕСТВО ЛИТЫХ НЕРЖАВЕЮЩИХ СТАЛЕЙ". VI Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Яльта, Крым АР. Украина, 2010. ст206.
20. И.С Жордания, Г.Ш.Кевхишвили, Д.Б Лория, "АВТОМАТИЗАЦИЯ ПРОЦЕССА НЕПРЕРЫВНОГО ЛИТЬЯ ПОЛЫХ ЗАГОТОВОК" Шестая Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Яльта, Крым АР. Украина, 2010. ст 208
21. Д.Б. Лория , Н.И Кацарава. "СНИЖЕНИЕ МЕТАЛЛОЕМКОСТИ И ПОВЫШЕНИЕ КАЧЕСТВА ОТЛИВОК ИЗ ВЫСОКО ХРОМИСТОЙ СТАЛИ". XIY Международная конференция, Теория и практика сталеплавильных процессов. Днепропетровск 2010. ст. 175-180
22. И.С Жордания, Г.Ш.Кевхишвили, Д.Б Лория, "РОТОРНАЯ МАШИНА ДЛЯ НЕПРЕРЫВНОГО ЛИТЬЯ ХРУПКИХ СПЛАВОВ" XIY Международная конференция, Теория и практика сталеплавильных процессов. Днепропетровск 2010. ст . 263-265
23. გ.ჯიშვარიანი, მ.მიქაელიძე, დ.სახვაძე, გ.თავაძე. მძიმე დიოთონებით დაბინძურებული ნიადაგების გაწმენდა-აღდგენა ფიტორემედიაციის მეთოდით. I საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვეობის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები და კავასია”, თბილისი, 2010, 4-6 ივლისი.
24. გ.ჩიხრაძე, გ.ონიაშვილი."Ni-Al სისტემაში დარტყმითი ტალღებით გამოწვეული თმს რეაქციების კვლევა" TMS-2010, სიეტლი, აშშ.
25. გ.ჩიხრაძე, გ.ონიაშვილი. "ულტრადისპერსული ალუმინის და ტიტანის ბაზაზე მასიური ფუნქციონალური მასალების მიღება დარტყმითი ტალღებით კომპაქტირებით" TMS-2010, სიეტლი, აშშ
- 26 გ.ონიაშვილი, ზ.ასლამაზაშვილი, გ.ზახაროვი, ი.ჯანელიძე, "გრადიენტული მასალების სინთეზი Ti-Al სისტემაში", EPNM-2010, ბერიბი, მონტენეგრო.
27. Omar Mikadze, Alexander Kandelaki, Jondo Bagdavadze- "Environmentally Friendly Technologies for Manufacturing Pure Metals" Fray International Symposium, Cancun, Mexico 27.11-01.12, 2011.
- 28 ლ. სახვაძე, გ. ჯანელიძე, ა. რაფაგა. "Бактериальное выщелачивание марганца из техногенных отходов горно-металлургической промышленности Грузии". საერთაშორისო კონფერენცია, "Основные проблемы экологической микробиологии и биотехнологии", ქ. ბაქო (აზერბაიჯანი). 2010წ.
29. ლ. სახვაძე, ა. რაფაგა, გ. ჯანელიძე. "Determinental Effect of Technogene on Environment and Its Utilization by Biotechnological Method" I საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვეობის ეკოლოგიური პრობლემები კავკასიაში“. ქ.თბილისი. 2010წ.

30. ლ. სახვაძე, ა. რაფაგა, გ. ჯანდიერი. "Утилизация марганецсодержащих производственных отходов методом бактериального выщелачивания". Шестая Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Большая Яльта, Крым АР. Украина, 2010.
31. გ. ჯანდიერი. "Устройство для обработки расплавов ферросплавного производства". VII საერთაშორისო კონფერენცია "Машины, технологии, материалы". ბულგარეთი, ქ. სოფია. 2010წ.
4. სხვა საკითხები, რომელსაც სამეცნიერო დაწესებულება მიიჩნევს
მის საქმიანობაში ყურადსალებად

საავტორო მოწმობები და პატენტები

1. ა.გაჩეჩილაძე, ა.კანდელაკი, ო.მიქაძე, ა.მიქელაძე, ლ.რუხაძე, ნ.ჯალაბაძე “ვოლფრამის კარბიდის ფუძეზე ნანოკრისტალური სალი მასალების მიღების ხერხი” . ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი“საქართველო”, პატენტი № P 4958, 21.12.2010
2. ლ.რუხაძე, ა. იქელაძე, ა.გაჩეჩილაძე, ა.კანდელაკი. “ვოლფრამის კარბიდის ფუძეზე ნანოკრისტალური სალი მასალების მიღების ხერხი, პატენტი №11324/01 30.03.2010 დადებითი გადაწყვეტილება.
3. ა.ოკლეი, მ.რატიშვილი, დ.ებანოიძე, ბ.მარგიევი, ა.გაჩეჩილაძე, ა.ბაკურაძე, ნ.დვამბერია. “ნანოკრებული აუსტენიტური მანგანუმიანი ცვეთამედეგი სხმული ფოლადის შემადგენლობა” პატენტი №11133/01 დადებითი გადაწყვეტილება 03.04.2010
4. დ.ებანოიძე გ.გრიქუროვი მ.რატიშვილი ა.ოკლეი დ.ჭიპაშვილი. “შენადნობები კრიოგენული ტექნიკისათვის.” პატენტი RCT/B2008/001988 დადებითი გადაწყვეტილება 15.07.2010.
5. სხვა ფონდების გრანტებით დაფინანსებული მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

1. პროექტი №4600 STCU “ნანოკრისტალური სალი შენადნობები ვოლფრამის, ტიტანის და ბორის კარბიდების ფუძეზე” (02.2009-02.2011). პროექტის მენეჯერი, ა.გაჩეჩილაძე.

მაღალტემპერატურული პლაზმურ – ნაპერწკლური დაწესებულით მიღებულია ტიტანის კარბიდის ფუძეზე სალი შენადნობის ნამზადები: მაღალი წნევით წყლით ჭრისათვის- ბუნიკი და საჭრისი. დამუშავებულია ვოლფრამის კარბიდის ფუძეზე ნანოკრისტალური სალი შენადნობების მიღების ხერხი. ჩატარებულია მიღებული მასალების ფაზური და სტრუქტურული კვლევები. დადგენილია მიღების ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები. ლაბორატორიის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობდნენ.

2.პროექტი №4398 STCU “ბორის კარბიდის ფუძეზე კონსტრუქციული კერამიკის დამუშავება ექსტრემალურ პირობებში მომუშავე ანტიფრიქციული ელემენტებისათვის” (02.2009-01.2011) პროექტის მენეჯერი, ა.მიქელაძე.

პომოგენურობის ზღვრებში ($B_{10,5}C$ – B_4C) ბორისა და ნახშირბადის ელემენტების სინთეზით მიღებულია ბორის კარბიდი. აგრეთვე მაღალტემპერატურული დაწნებებით მიღებულია ცირკონიუმით ლეგირებული (1, 3, 5 მას.%) ბორის კარბიდის ცილინდრული ფორმის ნაკეთობები. განსაზღვრულია ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები: დაწნებების ტემპერატურა $T=1950-2050^{\circ}\text{C}$ და წნევა 32-37 მპა. შესწავლილია ცირკონიუმით ლეგირებული აღნიშნული მასალების მექანიკური დისპერგირების პროცესი.

3. პროექტი GNSF/STCU08/7-481 „ნანოკრისტალური სალი შენადნობები ვოლფრამისა და ტიტანის კარბიდების ფუძეზე“ (03.2009-02.2011). პროექტის მენეჯერი, ა.გაჩეჩილაძე.

პროექტის გეგმის მიხედვით შერჩეულია ვოლფრამის კარბიდის და მისი შემკვრელების მარილები, შესაბამისი გამსხველები, მათი კონცენტრაციები და თერმოქიმიური დამუშავების რეჟიმები. ჩატარებულია ტიტანის კარბიდის ფუძეზე სალი შენადნობების და მათი ნაკეთობების მარკენტიგული კვლევა. დადგენილია რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) სალი მასალების ნაკეთობების მოხმარების მოცულობები, ფასები და მათი ცვლილების დინამიკა.

4. პროექტი GNSF/ STCU 380 “მანგანუმის შემცველი ნარჩენების უტილიზაციით მანგანუმის სულფატის მიღება“. (03.2009-02.2011) პროექტის მენეჯერი, დ.სახვაძე.

განხორციელებულია ახალი მაღალაქტიური ავტოტროფული შტამის “T.Ferrooxidans” გამოყვანა, არაორგანულ საკვებ არესთან პირიტთან (FeS_2) შეგუება და მათი გამოყენებით მანგანუმშემცველი ნარჩენებიდან (Mn 12-20%) ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიოტექნოლოგიური (ბაქტერიული გამოტუტვის) მეთოდით მანგანუმის სულფატის მონოპიდრატის (MnSO_4) მიღება, რომელიც ერთის მხრივ გადასამუშავებელ ნახევარფაბრიკატს წარმოადგენს მანგანუმის დიოქსიდის – MnO_2 და ელექტროლიტური ლითონური მანგანუმის (99,99 %) მისაღებად, ხოლო მეორეს მხრივ, თავად უკვე სასაქონლო პროდუქტია პრემიქსების, ელექტროულემენტებისა და მიკროსასუქების წარმოებისათვის.

5.პროექტი GNSF/ STCU 4999 „მზის კონცენტრირებული ენერგია თვითგავრცელება-დი მაღალტემპერატურული სინთეზი – ახალი მიღვომა ტექნოლოგიური ენერგოეფექტურობის გაზრდის სფეროში“. (10.2009-03.2011) პროექტის მენეჯერი, ო.ოქროსცვარიძე.

შესწავლილია თმს-ის ტექნოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენცია, რომელიც განხილული იქნა ენერგო- და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. დამზადებული იქნა თმს-გენერატორი და მზის კონცენტრატორების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კაზმის გაცხელებას $500-600^{\circ}\text{C}$ -მდე.

მიღებული იქნა TiB , TiC , WC , B_4C და ა.შ. თმს-ფენილები, რომელთა ქიმიური დამუშავებით მიღებული იქნა ნანო და ულტრადისპერსული ფენილები. შესწავლილი იქნა მათი სტრუქტურული თავისებურებები და ჩატარდა რენტგენფაზური ანალიზი. შესწავლილი იქნა ფენილების ზოგიერთი ტექნოლოგიური მახასიათებელი. ჩატარდა პირველადი მარკეტინგული გამოკვლევები.

დანართი 1.

სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

მოკლე მონაცემები 2009 წელს ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ	
1.თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	- 136
ა)მ.შ..მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა	- 40
2.სამეცნიერო უურნალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა	- 37
ა)საზღვარგარეთ	-
ბ) საქართველოში	-
3. მონოგრაფიის რაოდენობა	- 1
ა) საზღვარგარეთ	- 0
ბ) საქართველოში	- 1
4. გამოცემული სამეცნიერო უურნალები ან შრომათა კრებულები	- 0
5. უმაღლესი სასწავლებლისათვის შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელოების რაოდენობა	- 0
6. კონფერენციებისა და სიმპოზიუმების გამოქვეყნებული შრომები	- 14
ა) საერთაშორისო	- 14
ბ) საქართველოში	- 0
7. მიღებული პატენტების რაოდენობა	- 5
8. მიღებული ლიცენზიების რაოდენობა	- 0
9.მიღებული გრანტების რაოდენობა	- 7
ა) საზღვარგარეთ	- 5
ბ) საქართველოში	- 2
10. საანგარიშო წელს დაცული დისერტაციების რაოდენობა	- 2
ა) საზღვარგარეთ	- 0
ბ) საქართველოში	- 2
11. მეცნიერული მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდოების რაოდენობა	- 0
12. პრემიების მიმღებთა რაოდენობა	- 0
ა) სახელმწიფო პრემიების	- 0
ბ) გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების	- 0
13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მოსმენილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომელთა სამეცნიერო მოხსენებების რაოდენობა	- 0
14.ახალგაზრდა მეცნიერთა (35 წლის ჩათვლით) რაოდენობა	- 2

დანართი 2.

სსიპ ფერდინანდ თაგაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
მოკლე მონაცემები 2010 წელს ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ

1.თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	- 141
ა)ქ.შ..მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა	- 64
2.სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა	- 44
ა)საზღვარგარეთ	- 16
ბ) საქართველოში	- 28
3. მონოგრაფიის რაოდენობა	- 0
ა) საზღვარგარეთ	- 0
ბ) საქართველოში	- 0
4. გამოცემული სამეცნიერო ჟურნალები ან შრომათა კრებულები	- 0
5. უმაღლესი სასწავლებლისათვის შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელოების რაოდენობა	- 0
6. კონფერენციებისა და სიმპოზიუმების გამოქვეყნებული შრომები	- 21
ა) საერთაშორისო	- 17
ბ) საქართველოში	- 4
7. მიღებული პატენტების რაოდენობა	- 4
8. მიღებული ლიცენზიების რაოდენობა	- 0
9.მიღებული გრანტების რაოდენობა	- 7
ა) საზღვარგარეთ	- 5
ბ) საქართველოში	- 2
10. საანგარიშო წელს დაცული დისერტაციების რაოდენობა	- 0
ა) საზღვარგარეთ	- 0
ბ) საქართველოში	- 0
11. მეცნიერული მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდოების რაოდენობა	- 1
12. პრემიების მიმღებთა რაოდენობა	- 3
ა) სახელმწიფო პრემიების	- 1
ბ) გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების	- 0
13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მოსმენილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომელთა სამეცნიერო მოხსენებების რაოდენობა	- 0
14.ახალგაზრდა მეცნიერთა (35 წლის ჩათვლით) რაოდენობა	- 5

